საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის
ს ა კ რ ე ბ უ ლ ო

ქ. ახმეტა ,, 29” აპრილი , 2011 წ.

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
№43

ბმა ,,ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ. №60“-ის თავმჯდომარის ბესარიონ მათურელის წარმომადგენლის გელა შაშიაშვილის მიერ წარმოდგენილი შენიშვნების (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით 2011 წლის 25 მარტის და 11 აპრილის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმებზე) თაობაზე

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის სხდომაზე განვიხილეთ ბმა ,,ქ. ახმეტა, რუსთაველის ქ. №60“-ის თავმჯდომარის ბესარიონ მათურელის წარმომადგენლის გელა შაშიაშვილის მიერ წარმოდგენილი შენიშვნები (ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით 2011 წლის 25 მარტის და 11 აპრილის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმებზე)

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 112-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. უარვყოფთ შენიშვნებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით 2011 წლის 25 მარტის და 11 აპრილის ზეპირი მოსმენის სხდომის ოქმებზე რადგან ხსენებული ოქმები შეესაბამება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 110-112-ე მუხლების მოთხოვნებს.
2. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. თელავი, აღმაშენებლის №41).

ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარe: ალექსი მაილაშვილი

0900 ქ . ა ხ მ ე ტ ა , ☎ +995 249 2-22-99 ფ ა ქ ს ი : +995 250 7-64-87
ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ს ქ . № 49 +995 249 2-15-29 +995 249 2-15-17
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@yahoo.com